40
35
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 24 მარტი, 1921 წ.

№ 18 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 18

ყველა საბჭოთა დაწესებულებებს.

რუსეთის კ. პ. ც. კ.-ის კავბიუროს და საქართველოს და სომხეთის კომ. პარ. ცენ. კომიტეტების დადგენილების თანახმად, გამოცხადებულია ყველა სომეხ კომუნისტების მობილიზაცია. ყველა საბჭოთა დაწესებულებებს წინადადება ეძლევა მოთხოვონ მათში მოსამსახურე სომეხ კომუნისტებს სომხეთის კომ. პარ. ცე—კას მოწმობები მათი მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქ. კ. პ. ცე—კას მდივანი **ლ. დუმბაძე.**
სომ. კ. პ. ც. კ. წარმომადგენელი **ლაზიანი.**

ჭკუაზე შეშლილი ავანტიურისტები

იმ დროს, როდესაც ითვლებოდა უკანასკნელი დღეები საქართველოს მენშევიკური მთავრობისა—ერევანში გადატრიალება მოხდა. სომხეთის ავანტიურისტებმა—დაშნაკელებმა, რომლებმაც მრავალ გაკვეთილებიდან ვერაფერი ვერ ისწავლეს—ისარგებლეს რა შექმნილ მდგომარეობით, რომ სომხეთში მდგომი წითელი ჯარი საქართველოს საზღვრებისაკენ წამოვიდა—ჩამოაგდეს სომხეთის საბჭოთა მთავრობა ერევანში და თვით გაბატონდნენ. თავის თავად ცხადია და ეს დოკუმენტალურადაც დამტკიცებულია, რომ დაშნაკელების ამ ავანტიურაში უკანასკნელ როლს არ თამაშობდა მენშევიკური მთავრობა. თბილისში იბმებოდა ის ძაფები, რომლების ერთი თავი დაშნაკელების ახალ გმირს ქონდრის კაცს—ვრაციანს ეკავა ერევანში. საერთოდ, მენშევიკებს დიდი კონტრ-რევოლიუციონური გეგმა ქონდათ დასახული განსახორციელებლად და სამართლიანად უნდა ითქვას, რომ ისინი არ ზოგავდენ არაფერს, რომ ეს გეგმა სისრულეში მოეყვანათ. დაღესტნის, აზერბაიჯანის და სომხეთის „განთავისუფლება"—„კომუნისტების ძალმომრეობისაგან"—აი კონკრეტულად მათი გეგმის შინაარსი. მათ და საუბედუროთ ეს არ დასცალდათ მათ. საქართველოს მუშების და გლეხების აჯანყებამ და წითელი ჯარების შემოსვლამ დროზე მოუსწრო მათ და გეგმა ჩაუფუშა.

საკითხი დადგა არა „გრანდიოზული" გეგმის განხორციელებაზე, არამედ საკუთარი თავის გადარჩენაზე. როგორც კი გამოირკვა, რომ აჯანყება საქართველოში ფართე ხასიათს ღებულობს და წითელი ჯარებიც არ „ხუმრობენ", მენშევიკებმა საჩქაროთ აცნობეს ვრაციანს—დაგვეხმარეთ, ვიღუპებითო". ამ უკანასკნელმაც ისარგებლა რა იმით, რომ სომხეთის საბჭოთა მთავრობა თავიდანვე მეტად ლმობიერათ და გულგახსნილათ ეპყრობოდა მას და მის პარტიას და რომ ამ დროს, როგორც ზევით ვსწერდით, საბჭოთა ჯარები შიდა სომხეთიდან დაიძრენ საქართველოს საზღვრებისკენ—შეთქმულებას ხიდი შესხა და ერევანი ხელში ჩაიგდო. როგორც მოსალოდნელიც იყო, ერევნის ფარგლებს აჯანყება არ გასცილდა. სომხეთის მშრომელმა ხალხმა ალღო აუღო ვრაციანის ახალ დამღუპველ ავანტიურას და არ აყვა მას.

დაშნაკელები მომწყვდეული დარჩნენ ერევანში. მათი იმედი, რომ მენშევიკები შესძლებენ საქართველოში აჯანყების ჩაქრობას და წითელ ჯარებთან გამკლავებას—არ გამართლდა. მალე დაეცა თბილისი და მასთან ერთად სამუდამოთ მოკვდა ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა. დაშნაკელებმა თავისი „გმირობით" მენშევიკებს ვერ უშველეს, სომხეთის ხალხიც ვერ აიყოლიეს და გამოემწყვდნენ ერევანში.

დღეს, როდესაც საქართველოში უკვე განმტკიცდა საბჭოთა ძალა-უფლება, თვით ვრაციანი და მისი „განმანთავისუფლებელი" კომიტეტი მომწყვდეულია ერივანში და დახმარების მიღების იმედი არსაიდან არა აქვს—ეხლა მათ მიერ ბრძოლის გაგრძელება და წინააღმდეგობის გაწევა, ეს იქნებოდა წარმოუდგენელი, თვით დაშნაკელებისათვისაც კი, სიგიჟე და ჭკუაზედ-შეშლილობა. ამხ. ორჯონიკიძე დეპეშით მიმართავს ვრაციანს დაყაროს იარაღი და უბრძოლველად დანებდეს სომხეთის საბჭოთა მთავრობას, ვინაიდან ბრძოლის კიდევ გაგრძელება იმ პირობებში, რომლებშიაც იმყოფება ვრაციანის „მთავრობა"—იქნებოდა, ისედაც განაწამებ და დატანჯულ სომხის ხალხისათვის, უმიზნოთ და უაზროთ ახალი უბედურებების მაყენება, არაფრით გასამართლებელი სისხლის ღვრა და ხალხის ქონების განადგურება. ჩვენ ჯერ არ ვიცით რით უპასუხა ან ფიქრობს უპასუხოს ვრაციანი—ასეთ წინადადებაზე. ჩვენ კარგათ ვიცით თუ ვინ არიან დაშნაკელები და როგორ უყვართ მათ თავისი ხალხი, თავისი სამშობლო—მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს და მათ შორის, დაშნაკელთა ავანტიურისტობასაც, ვფიქრობთ, რომ მათ კიდევ შერჩენიათ ჭკუის და რაიმეს გაგების ნატამალი მაინც.

მაგრამ თუ კი მათ ახლაც არ უღალატეს თავის თავს და მათ მიერ არჩეულ ავანტიურიზმის გზას,—მაშინ ჩვენ შეგვეძლება სრული სამართლიანობით აღვნიშნოთ, რომ ერევნის დაშნაკელებმა ისტორიაში რეკორდი აიღეს ჭკუაზედ—შეშლილ ავანტიურისტთა შორის.

ბურჟუაზიული რესპუბლიკის კაპიტულიაცია.

გაზეთებში გამოქვეყნდა სრული ტექსტი შეთანხმებისა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ ყოფილ მენშევიკურ მთავრობასა და საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს შორის. შინაარსი ამ „შეთანხმების" ატარებს ნიშანს მშრომელი ხალხის გამარჯვებით დათავებულ სამოქალაქო ომისას და არ გავს ჩვეულებრივ საზავო ხელშეკრულებას, დადებულს ორ ქვეყნის შორის მეტოქეობით გამოწვეულ, დაპყრობა—დამონების მიზნით წარმოებულ საომარ შეტაკების შემდეგ. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებით ჩვენ ერთხელ კიდევ ცხადვყავით, ერთხელ კიდევ გამოვააშკარავეთ, როგორც ეს დაამტკიცა რევოლიუციონური კომიტეტის მთელმა მოქმედებამაც ამდენ ხანს, მენშევიკური პარტიის და მისი მთავრობის მიერ ქართველი ხალხის შეცდომაში შესაყვანათ, მის მოსატყუილებლათ ერთმანეთში ჩაქსოვილი საზიზღარი ჭორი და ცილის წამება კომუნისტური პარტიისა და წითელი არმიის განძრახვების შესახებ ჩვენში.

ისინი სწერდენ თავის გაზეთებში და ფურცლებში, ელაპარაკებოდენ და არწმუნებდენ ქართველ ხალხს, რადიოს რადიოზე აგზავნიდენ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მსოფლიოს გასაგონათ, მათ დას ჯერებლათ, რომ საქართველოს კომუნისტები არიან უცხო სახელმწიფოს აგენტები, რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების მოციქულები, რომ ისინი მოუძღვიან ჩვენში უცხო ძალას, რომელიც წალეკავს ჩვენ „ოაზისს", მოუტანს გადაგვარებას ეროვნულ კულტურას და გაანადგურებს მის ეკონომიურ ძალებს.

როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევაში ორ მებრძოლ მხარეთა შორის დადებული ზავის პირობები?

ცხადია, რომ შეთანხმება ძლევამოსილი ომის შემდეგ, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი: ეროვნულის, იმპერიალისტურის ან სამოქალაქოსი, როგორც ეს ჩვენ შემთხვევაშია, შეიცავს ომის მიზნების გამარჯვებას, მათ ცხოვრებაში გატარებას ახალი სინამდვილის პირობებში.

უთქვამთ, და სრულიად საფუძვლიანადაც, რომ ომი არის გაგრძელება მშვიდობიანობის დროს წარმოებული პოლიტიკის, მარა სხვა საშუალებებითო. ომამდი, შედარებით მშვიდობიანობის ხანაში წარმოებული პოლიტიკა, თუ ის გამომხატველია ხალხის სასიცოცხლო ძალების განვითარების—ერთ შემთხვევაში ან და საზოგადოების გაბატონებულ და გავლენიან კლასების ინტერესების, როდესაც მათ შეუძლიათ დასახონ ეს ინტერესები მთელი ერის სასარგებლოთ და გაასაღონ ასეთად—მეორე შემთხვევაში, ასეთი პოლიტიკა, ვამბობთ ჩვენ, როდესაც ვეღარ ბოლოვდება შეთანხმებით მის მოწინააღმდეგებთან ერთი ერის ან სახელმწიფოს შიგნით ან გარეთ, ძალაუნებურათ მიმართავს უკანასკნელ მაგარ არგუმენტს—იარაღს.

ისტორიის შორეულ წარსულს რომ არ მივმართოთ და ავიღოთ მხოლოდ ახალი დროის ომების უმთავრესი ტიპიური ეპიზოდები, წარმოებული ეროვნული გაერთიანების მიზნით, როგორიც იყვნენ იტალია-ავსტრიის 1859 წ. და საფრანგეთ - გერმანიის 1870 — 1871 წლებში, ჩვენ დავრწმუნდებით ზემომოყვანილ დებულების სიმართლეში. გაბატონებულ ავსტრიის თარეშს იტალიაში, რასაც თავს სდებდა ამ უკანასკნელის ნაკუწ-ნაკუწათ დაყოფვის ხელოვნური გაჩანგრძლივება, აშკარაა—უნდა გამოეწვია მთელი ხალხის დრტვინვა, რაც ათეულ წლობით უნდა გაგრძელებულიყო. ცხადია, რომ ეროვნული განთავისუფლებისა და გაერთიანების მოტივით გამოწვეული სამხედრო შეჯახება, რომელიც თავისთავათ დიდ ეკონომიური ინტერესებით სულდგმულობდა, უნდა დათავებულიყო ეროვნული გაერთიანების კითხვის ასე თუ ისე გადაჭრით, იმ განსხვავებით მხოლოთ, რომ, მოუხერხებელი მშვიდობიანი გზით, ის უნდა დაბოლოებულიყო იარაღის საშუალებით, როგორც ეს კიდევაც მოხდა. აგივე ითქმის 1870—1871 წლების ეროვნული გაერთიანების მიზნით წარმოებულ ომზედაც, რომელსაც წინ უძღოდა დიდი ხნის „მშვიდობიანი" ყრუ ბრძოლა დანაწილებულ გერმანიასა და მის შესაძლებელ გაერთიანების წინაშე მძრწოლარე საფრანგეთს შორის. ფინალი ვიცით.

უკანასკნელმა უდიდესმა იმპერიალისტურმა ომმაც იარაღით გადაჭრა მხოლოდ ის კითხვა, რომელიც დიპლომატიური ხრიკებით იჭრებოდა უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. ცხადი იყო ყველასათვის, რომ საერთაშორისო ავაზაკობის ახალი „კონსტიტუცია" უნდა დაწერილიყო ან პარიზში, ან ბერლინში. პატარა გეოგრაფიული განსხვავებით ის დაიწერა ვერსალში...

ზემოხსენებული შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ სამოქალაქო ომის შესახებაც და კერძოთ დღეს საქართველოში უკვე გათავებულ ომზე.

ამ ომის მამოძრავებელი ძალები იყვნენ, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, ერთი მხრით—მშრომელი მასები, ორივეგან ჩვენი პარტიის მეთაურობით და და მეორე მხრით ყველა ბურჟუაზიული კლასები ესერ-მენშევიკების ხელმძღვანელობით. რუსეთში ამ ბრძოლამ მოგვცა ოქტომბრის რევოლიუცია, საქართველოში—თებერვლის. მათი პროგრამა იყო ერთი და იგივე, როგორც ამ პროგრამის მატარებელი ძალები იყვნენ ერთი და იგივე.

ცხადია აჯანყებული მუშა-გლეხების მიზანი საქართველოში, ისე როგორც მისი დამხმარე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების წითელი არმიის, არ შეიძლება ყოფილიყო იმპერიალისტური, წინააღმდეგ მენშევიკური დემაგოგიისა, ე. ი. დაპყრობითი, მიმართული ქართველი ხალხის კულტურის, მისი ენის, მისი სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგ. ძლევამოსილი სამოქალაქო ომით საქართველოშიდაც გადიჭრა ის კითხვა აქ არსებული ბურჟუაზიული რეჟიმისა და მის დამცველ მენშევიკურ სახელმწიფოსაგან განთავისუფლების, რომლის მიზნით მოძრაობა არ შეწყვეტილა ჩვენ ხალხში ოქტომბრის დიდი რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც ძალაუფლება გადასცა პროლეტარიატს და ღარიბ გლეხკაცობას.

ამნაირად საქართველოს სამოქალაქო ომშიაც დამარცხდა არა ქართველი ხალხი, მისი ეკონომიური მომავალი და კულტურა, არამედ ბურჟუაზიული რესპუბლიკა, მენშევიკების მიერ აშენებული. გაიმარჯვა არა რუსეთის იმპერიალიზმმა, არამედ რუსეთის მუშათა რევოლიუციის დიდმა პროლეტარულმა იდეამ და „შეთანხმებაც", რომელიც მოხდა ძველ და ახალ მთავრობათა შორის ატარებს ნიშანს მხოლოდ ამ გამარჯვებისას.

ბურჟუაზიული რესპუბლიკის კაპიტულიაცია, დაგვირგვინებული მენშევიკური მთავრობის გაქცევით, და არა დამპყრობლების შემოსვლა საქართველოში—ასეთი არ შეიძლება ყოფილიყო რუსეთის იმპერიალიზმის შემოსევა ჩვენში. როგორც სხვა ჭორები და ცილის წამება მენშევიკების წითელ არმიელების წინააღმდეგ, ისე მათი ლაქლაქი ბოლშევიკების დაპყრობითი მიზნების შესახებ, აშკარა შეიქნა ქართველი ხალხისთვის ხსენებულ შეთანხმებით.

გამარჯვებული პროლეტარიატი და ღარიბი გლეხკაცობა საქართველოსი წინ გასწევს ახალი გამარჯვებებისაკენ რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად. ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებული, მიუხედავად მენშევიკური დემაგოგიისა და მათი ევროპის იმპერიალისტებისაკენ დღეს გაქცეული მთავრობის ახალ შესაძლებელ მოღალატური მოქმედებებისა.

ნ. კრედო.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— **საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი".

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3 მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

რუსეთის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის მისიის და დატუსაღებულ კომუნისტების წვალება

როსტას თანამშრომელს შემდეგი უამბეს რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მისიაში. უკვე დიდი ხნის წინ აჯანყებამდე მენშევიკურ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო. პირველად დაატუსაღეს 17 თებერვალს დილის 4 საათზე ამხ. ს. ქავთარაძე და მდივნები ამხ. იურევიჩი და ლებედევი. დატუსაღება მოახდინეს თბილისის რაიონის გენერალ-გუბერნატორის ჩხიკვიშვილის ორდერით, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მისიის პასუხისმგებელი თანამშრომლები უნდა დატუსაღებულ იქმნენო. თუმცა დატუსაღების წამს დაპირდნენ დღესვე განთავისუფლებთო, ბარგს ნუ წამოიღებთო, დატუსაღებულნი მაინც გაგზავნეს თბილისის სადგურზე, სადაც 18 თებერვალს საღამომდე დატოვეს, მერე მატარებლით გაგზავნეს ქუთაისში. აღნიშნულ თანამშრომლებს გარდა დაატუსაღეს მისიის დანარჩენი თანამშრომლებიც, მათ შორის ქალებიც. ამხ. შეინმანი 17 თებერვალს საღამოს წაიყვანეს განსაკუთრებულ რაზმში, საიდანაც იგი გაგზავნეს სადგურზე და ჩასვეს მე 3 კლასის ვაგონში საშინელ პირობებში — უფანჯროთ, უწყლოდ. მისსიის ყველა თანამშრომლები გაანაწილეს ორ ჯგუფათ. პირველი ჯგუფი ამხ. შეინმანის მეთაურობით, გააგზავნეს ქუთაისში 18 თებერვალს დილის 10 საათზე. სადგურ გორამდე მათთვის არ მიუციათ არც საჭმელი, არც წყალი და აუკრძალეს რისამე ყიდვა. გზაში შეხვდნენ მატარებელს, რომელშიაც იმყოფებოდნენ უცხოეთის მისსიები, მათ შორის საფრანგეთისაც, რომელიც მიდიოდა თბილისში. დატუსაღებულთ [illegible] ყვირილი დაიწყეს ფანჯრებიდან. [illegible] ნახეს ფრანგები ან სხვა [illegible] ყვირილზე [illegible] მიდიოდა საფრანგ[illegible] [illegible] მაინც [illegible] და [illegible]

დღეს ნომერში:

რუსეთის საბჭოთა მისიის და დატუსაღებულ კომუნისტების წვალება მენშევიკების მიერ.

დაწვრილებითი ცნობები ქუთაისის აღების შესახებ.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მიმართვა ამერიკის პრეზიდენტ გარდინგისადმი, რუსეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ამხ. შეინმანმა სთხოვა გადაეცა საქართველოს მთავრობისათვის, რომ მათ წესიერად მოექცნენ და გააუმჯობესონ რუსეთის მისსის თანამშრომელთა მგზავრობის პირობები. კორბეილი დაპირდა შეინმანს მის თხოვნის ასრულებას. და ტუსაღებულთ მისდევდნენ სახალხო გვარდიელები. მიუხედავად ბევრი თხოვნისა, წყალი მაინც არ მისცეს. სახალხო გვარდიელები არ უშვებდნენ უცხოეთის მისსიების თანამშრომლებს, რომელნიც ცდილობდნენ დატუსაღებულებთან მისვლას. ერთი საათის შემდეგ მოდარაჯე ოფიცერმა გამოუცხადა, რომ სადგურ ხაშურზე ყველას მოგეცემათ ნებართვა ისადილოთო. პირველი ჯგუფი მივიდა ქუთაისს 19 თებერვალს. მეორე ჯგუფი გაიგზავნა სადგურ თბილისიდან 18 თებერვალს საღამოთი. მისი მგზავრობაც იმავე პირობებში იყო ჩაყენებული, როგორც პირველი ჯგუფისა. ეს ჯგუფი მივიდა ქუთაისს 20 თებერვალს. ქუთაისში ამხ. შეინმანი, სიტინი, ქავთარაძე და მდივნები დააბინავეს სასტუმრო „ორიანტში", დანარჩენნი მათ შორის ქალებიც, გაგზავნეს საპატიმროში. 26 თებერვალს დილით საპატიმროში გადაიყვანეს ამხ. ქავთარაძეც. თანამშრომლები ქუთაისში თავიანთ ხარჯით იკვებებოდნენ. გერმანიის წარმომადგენელმა რაუშერმა გადასცა მათ ამ მიზნით მილიონ ნახევარი მანეთი. მან რამდენჯერმე ინახულა ამხ. შეინმანი. ამხ. შეინმანის ცდამ კავშირი ჰქონოდა საპატიმროში მყოფ თანამშრომლებთან ამაოდ ჩაიარა. ითხოვეს, რომ დაპატიმრებულ ქალების ნაცვლად საპატიმროში ჩაესვათ ბინაზე დაპატიმრებული კაცები, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს. საერთოთ დაპატიმრებულთ ცუდათ ექცეოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ საპატიმროში მუშტი-კრივი გაიმართა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ფაჩულიამ, კედიამ და სულაქველიძემ. პარტიულ ამხანაგთაგან ბევრს სცემეს, თანამშრომელს კუპელინს ჩაუმტვრიეს 5 კბილი. ასე გასტანა 7 მარტამდე. ამ დღეს მისსიის თანამშრომლებს დაუწყეს გაგზავნა ბათომს. საქართველოს მთავრობის წევრთაგან ამხ. შეინმანმა ინახულა მხოლოდ ლორთქიფანიძე. ბათომში ამხ შეინმანი მივიდა 9 მარტს. იქ მდივანი და მისი თანამგზავრები დააბინავეს ერთ სახლში ოლღას ქუჩაზე. 17 მარტს ამხ. შეინმანმა მოსთხოვა გუბერნატორს გიორგაძეს, როგორც თავისი ისე თავის თანამშრომელთა განთავისუფლება, რაზედაც დაითანხმა კიდეც. ამ დროს ცნობა მიიღეს, რომ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან უკვე ერთი კვირაა სწარმოებსო. მარტის 17-ს 12 საათზე ამხ. შეინმანის ბინაზე იწყეს დენა მენშევიკურ ლაშქრის სამხედრო ნაწილების და მთავრობის დაწესებულების უფროსებმა და აცხადებდნენ, რომ არ სურთ ბათომის დატოვება. მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით და კვინიტაძე გავიდნენ გემებით 17 მარტს, ხოლო რამიშვილი, ფაჩულია და კედია წავიდნენ უფრო ადრე. ლტოლვილებმა სულ დატვირთეს 20 გემამდე. 17 მარტს საღამოს 8 საათზე შესდგა რევკომი ამხ. ს. ქავთარაძის და მალაქია ტოროშელიძის მეთაურობით. საღამოს 10 საათზე დაჭერილ იქმნა გუბერნატორის სახლი, ციხის შტაბი. საღამოს ამხ. შეინმანის ბინაზე გაიმართა რევკომის თათბირი სარდლობასთან ახალი ხელისუფლების მოსაწყობათ. აქვე გამოცხადდა ოსმალელი ოფიცერი ქიაზიმ ბეის პროკლამაციით, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ბათომის ოლქი შეუერთდა დედა სამშობლოს ოსმალეთს და გარდა ამისა გამოთქმული იყო აღთქმა მოქალაქეთა პიროვნების ხელშეუხებლობისა, დაპატიმრებულთა საქმეების განხილვის და კერძო ვაჭრობის ნებართვის თაობაზე. [illegible] 10 საათზე გამოცხადდა ქიაზიმ ზეთუნანაშემწე და წინადადება მოგვცა დაექციათ ბაირაღის აღმართვის შესახებ, [illegible]ოჩაზე, სადაც ამხ. შეინმანი [illegible] დასა[illegible]

ტირაჟი — [illegible]

მარტის 18 ქუთაისის ქუჩაზე სცარცვავდნენ დუქნებს და ქალაქში ისმოდა სროლა, მარტის 18 4 საათზე ქიაზიმ ბეიმ უარი განაცხადა ხელისუფლებაზე და თეთრი ბაირაღი აღმართა.

მარტის 21 ს გერმანიის მისია რაუშერის მეთაურობით, ამხ. შეინმანი და საბჭოთა მისიის თანამშრომლები ჩამოვიდნენ თბილისში.

ქუთაისში.

თბილისში ჩამოსულმა საქართველოს კომუნისტურ პარტიის ქუთაისის კომიტეტის ერთმა დელეგატთაგანმა შემდეგი დაწვრილებითი ცნობები გადმოგვცა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობდა ქუთაისში წითელ ლაშქრის შემოსვლის წინ. ერთი კვირის წინ ქუთაისის აღებამდე ქალაქში შიშის ზარი იყო. მოსამსახურეებმა, ნაცარცვი ქონებით დატვირთულებმა, ქალაქი აავსეს. ყველა დაწესებულებასა და სასწავლებლებში შესწყდა მეცადინეობა და შენობებში მოთავსდენ ჩამოსულები. იჭერდენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ ყველას, ვისაც რაიმე შორეული კავშირი ჰქონდა კომუნისტებთან და მათ ნათესავებთან, ყველა სოფელში დაგზავნილ იქმნა კედიას განსაკუთრებული რაზმის აგენტები, რომელთაც სოფელში მასიური დატყვევება დაიწყეს. კერძო სახლები გადააქციეს საპყრობილეებათ. მობილიზაციისათვის დამსჯელი რაზმები ძალით იჭერდნენ გლეხებს და ჩამოყავდათ ქუთაისში, რადგან გლეხ-კაცობა ბოიკოტს უცხადებდა მობილიზაციას. დამსჯელი რაზმებს ახლო მახლო სოფლებიდან ჩამოჰყავდათ ურმები, ცხენები, ხარები ქალაქში, ალაგებდნენ ზედ ქუთაისის ქონებას და ბათომში გზავნიდნენ. ქალაქი პირდაპირ გაცარცული — ელექტრონის მავთულებიც კი მოხსნეს. ყველა პასუხისმგებელი მენშევიკი სასწრაფოდ გაიქცა ქალაქიდან. ქუთაისში ჩამოსული ქართული ჯარის ნაწილები საცოდავ სურათს წარმოადგენდნენ: აღარ იყო გუნდები, ბატალიონები, არამედ სხვა და სხვა ნაწილების გამოქცეული ჯარის კაცები, რომელნიც თავს იყრიდნენ ქუთაისში. წითელი ლაშქრის შეტევა იმდენად სწრაფი იყო, რომ, როდესაც მენშევიკებმა მოიფიქრეს გამოქცეულებისაგან ნაწილების შედგენა სურამის ულელტეხილზე გასაგზავნათ, ცნობა მოვიდა სადგ. წიფის აღების შესახებ.

ამის შემდეგ დარჩენილი ჯარის კაცები სოფლებში გაიფანტა. წითელი ლაშქრის შემოსვლამდე, ხუთი დღით ადრე, კომუნისტებმა მოახერხეს შეიარაღებულიყვნენ, მიუხედავათ იმისა, რომ ქუთაისში მოქმედებდა არა მარტო ადგილობრივი განსაკუთრებული რაზმი, არამედ კედიას და ფაჩულიას რაზმები. სადგურ წიფის აღების შემდეგ მენშევიკებმა იწყეს დატყვევებულ კომუნისტების ევაკუაცია ბათომში პირველ რიგში გაგზავნეს 300 პასუხისმგებელი კომუნისტი.

შემდეგ საგანგებო კომისია შეუდგა კომუნისტების გადარჩევას. მოაშორეს წერა-კითხვის მცოდნეთ არა მცოდნენი, რომლებიც მაშინვე გაანთავისუფლეს, წერა-კითხვის მცოდნეთ შესახებ გადაწყვიტეს გაგზავნა ბათომში. როდესაც წასვლაზე უარი სთქვეს, ციხეში შეცვივდნენ შეიარაღებულ რაზმით ყოფილი უფროსი თფილისის მილიციისა სულაქველიძე, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ფაჩულია და ქალაქ თფილისის ყოფილი თავი ჩხიკვიშვილი და დაუწყეს დაპატიმრებულთ სროლა, რომლის დროსაც დაიჭრა 10 კაცი. სროლის შემდეგ პატიმრებს დაუწყეს ცემა, ნაცემი და დასახიჩრებულია 40 კაცამდე. მერე პატიმრები გაიყვანეს. მათ შორის რამდენიმე კაცი ისე იყო ნაცემი, რომ საკაცეებით გამოიყვანეს. მაგალითათ, ასე გამოიტანეს პარტიის ძველი მუშაკი ვანო სტურუა და მიხა ჩოლდიშვილი. სიკვდილის პირამდე ნაცემია აგრეთვე ნესტორ ცერცვაძე, ცნობილი თავისი აქტიური რევოლიუციონური მოქმედებით არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთშიაც. ქუთაისის მიტოვების წინა ღამეს ციხიდან წაიყვანეს ოთხი ამხანაგი კომუნისტი, რომელთა დამწვარი გვამები იპოვნეს შემდეგ ქუთაისის მახლობლად ტყეში. გამოკითხვებით გამოირკვა, რომ ჯერ დახვრიტეს და მერმე მათი გვამები დასწვეს.

ქუთაისზე ყველა მხრიდან გალაშქრებულ წითელ ჯარის წინ ადგილობრივი გლეხები კომუნისტების მეთაურობით ახდენდნენ აჯანყებას და ამით უადვილებდნენ მათ გზას. მიუხედავათ უხვათ დათესილ შოვინიზმისა მენშევიკების მხრივ, გლეხებმა ნათლათ შეიგნეს, რომ წითელი ლაშქარი მიდის წინ არა საქართველოს დაპყრობისათვის, არამედ მშრომელთა განთავისუფლებისათვის. გლეხთა აჯანყებას ადგილი ჰქონდა ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში, სოხუმის ოლქში, გურიაში, სადაც აჯანყებულებმა ააფეთქეს ხიდი სუფსაზე და სხვა ადგილებში. შეიარაღებული გლეხთა რაზმები წითელ ლაშქრის მეთაურობით მიდიოდნენ ქუთაისში და შევიდნენ ქალაქში წითელი დროშებითა და რევოლიუციონური სიმღერებით.

ამ ჟამათ რევოლიუციონური წესი ქალაქში აღდგენილია, დაარსდა და მოქმედობს ადგილობრივი რევკომი ყველა განყოფილებებით, დაარსდა მილიცია. სურსათის ნაკლებობა არა სჩანს, რადგანაც გლეხებს სურსათი მოაქვთ ქალაქში. გაიხსნა საბჭოთა სასადილოები. რევკომში სულ ერთ თავად მოდიან გუბერნიის სხვა და სხვა კუთხეების წარმომადგენლნი ადგილობრივ მუშაობისათვის ინსტრუქციების მისაღებათ.

დაწვრილებითი ცნობები ქუთაისის აღების შესახებ

ამ სათაურით ქუთაისში გაგზავნილი ერთი კომუნისტი სომხურ გაზეთ „კახმირ ასტღ"-ში ასე სწერს ქუთაისში მენშევიკურ მთავრობის უკანასკნელ საათებს. 6 მარტს ქუთაისს შიში მოადგა. სურამის ტონელის მხრიდან შიში არ გამართლდა, რადგანაც გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი მიდიოდა ქუთაისზე არა რიონის მხრივ, არამედ ჩრდილო-ოსეთიდან რაჭაზე და ონზე. მთავრობის წრეები შიშმა მოიცვა. დაიწყო ახალი ევაკუაცია ბათომისაკენ. მაგრამ შიშის დროს მაინც არ დაივიწყეს დაპატიმრებული კომუნისტები. 7 მარტს ბათომის ციხეში გადაიყვანეს ყველა დაპატიმრებული მისიები ც. კ. წევრები, წევრები თფილისისა, ქუთაისის და ბათომის კომიტეტებისა — სულ 500 კაცი. 8 მარტს შინაგან სამინისტროს მდივანმა ლომთათიძემ პირადათ დაიარა ციხის ყველა კამერები და ჩვენება ჩამოართვა პატიმრებს. ამის შემდეგ გამოცხადებული იყო მეორე სია ბათომში გასაგზავნ პატიმართა ახალი პარტიისა, 35 კაცამდე, უმეტესათ ავათმყოფებისა. პატიმრები თხოულობდნენ ნუ გაგვგზავნითო, მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ ციხის კორიდორები გაივსო თფილისიდან მოსულ აგენტებით, რომლებიც ციხიდან ისტუმრებდნენ პატიმრებს მაუზერებით და სცემდნენ. ცემა გაგრძელდა ერთ საათამდე, რის შემდეგ აგენტები ფაჩულიას მეთაურობით გაქრნენ. ხმა დადის, რომ ზოგიერთი ნაცემი დახვრიტეს ტყეში და მათი გვამები დასწვეს.

საბჭოთა რუსეთში.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესს და პრეზიდენტ გარდინგისადმი.

მოსკოვი. 22 მარტი. დღიდან თავის არსებობისა საბჭოთა რუსეთი იმედოვნებდა, რომ იგი მალე შესძლებდა დაემყარებია მეგობრული დამოკიდებულება ჩრდილო ამერიკის დიდ რესპუბლიკასთან იმ ფიქრით, რომ ორივე რესპუბლიკას შორის დამყარდება მტკიცე კავშირი ურთიერთ სარგებლობისათვის. იმ ხანებში, როდესაც ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს გამოლაშქრება და შემოიჭრენ საბჭოთა რუსეთის საზღვრებში ომის გამოუცხადებლათ და არავითარი გამომწვევი მიზეზი მათ არ ქონიათ, საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მიმართა ჩრდილო-ამერიკის მთავრობას წინადადებით, მიეღო ზომები, რომ ბოლო მოღებოდა სისხლის ღვრას. მაშინაც კი, როდესაც ამერიკის ჯარები მონაწილეობას ღებულობდენ სხვებთან ერთად საბჭოთა რუსეთზე თავდასხმაში, რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა მაინც კიდევ იმედოვნებდა მისდამი ამერიკის მთავრობის დამოკიდებულების შეცვლას და ამას ხაზგასმით აღნიშნავდა რაც გამოიხატებოდა განსაკუთრებულ დამოკიდებულებით ამერიკის მოქალაქეთადმი, რომლებიც რუსეთში დარჩნენ. პრეზიდენტი ვილსონი სრულიად უმიზეზოთ და ომის გამოუცხადებლად დაეცა თავს რუსეთის რესპუბლიკას და, მთელ თავისი მართველობის ყოფნის დროს, აძლიერებდა მტრობას რუსეთის რესპუბლიკასადმი.

საბჭოთა რუსეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ამერიკის რესპუბლიკა არ დაიწყებს ჯიუტობას, და ამერიკის ახალი მთავრობა ნათლათ გაიგებს, თუ როგორ დიდ სარგებლობას მოუტანს ორთავე რესპუბლიკებს მათ შორის საქმიანი დამოკიდებულების განახლება; ორთავე ხალხის ინტერესების მიხედვით უნდა მოსპობილ იქნეს მათ შორის აღმართული კედელი. საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც სრულიად უნდება თავის დიდ შინაურ აღმადგენლობის და სამეურნეო ცხოვრების შექმნის საქმეებს, სრულიადაც არა აქვს განზრახვა ჩაერიოს ამერიკის შინაურ საქმეებში. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგმართავთ თქვენ კატეგორიული წინადადებით ამის შესახებ. ეხლა, როდესაც ბევრმა სახელმწიფოებმა დასდვეს საზავო ხელშეკრულობა რუსეთთან, დამყარებულია წესიერი დამოკიდებულება, უქონლობა ამ დროს ამერიკასთან საქმიან დამოკიდებულებისა საბჭოთა რუსეთს მიაჩნია განსაკუთრებით არა ნორმალურათ და ორთავე ხალხის დამღუპველათ. ს. ც. ა. კ. მოგმართავთ თქვენ ფორმალურ წინადადებით აღდგენილ იქნას ამერიკასა და რუსეთს შორის სავაჭრო დამოკიდებულება. ამ მიზნით უნდა მოწესრიგებულ იქმნას დამოკიდებულება ორივე რესპუბლიკებს შორის. ს. ც. ა. კ. ამისთვის მოგმართავთ თქვენ წინადადებით გაიგზავნოს ამერიკაში სპეციალური დელეგაცია ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად, საქმიან დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად და ვაჭრობის აღსადგენათ რუსეთ-ამერიკას შორის. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი. მდივანი ზალუცკი.

საზღვარ-გარეთ

უმუშევრობა.

ნაუენი. 20 მარტი. ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ბიუროს სტატისტიკურ ცნობებით დედამიწის 20 უმთავრეს სახელმწიფოში უმუშევართა რიცხვი აღწევს 32 მილიონ 683 ათას კაცს. ხოლო 1914 წლის ბოლოს უმუშევართა რიცხვი იყო 139,220,000 კაცი.

პროტესტი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბერლინი. 21 მარტი. გაზეთ „ჰუმანიტეში" კაშენმა გაილაშქრა საფრანგეთის ნაციონალისტების განზრახვების წინააღმდეგ, რომელნიც საბაბს ეძებენ გერმანიასთან ახალი ომის დასაწყებათ. საფრანგეთის კომუნისტების ბელადი კაშენი საფრანგეთის პროლეტარიატს მოუწოდებს მოემზადონ მსგავსი გეგმების მძლავრი წინააღმდეგობისთვის; იმ გეგმების რომელნიც მთავრობის სისუსტეში პოვებენ გამართლებას.

ინგლისელ მუშებს შორის.

ლონდონი. 20 მარტი. მარტის 27 მოიწვევენ ყოველ წლიურ კონგრესს დამოუკიდებელ მუშათა პარტიისას. მთავარი ყურადღება მიეკუთვნება ინტერნაციონალის საკითხს, კონგრესზე წარმოდგენილი იქნება ოთხი რეზოლიუცია: პირველი რეზოლიუცია მოითხოვს რუსეთის საბჭოთა მთავრობის, როგორც ერთად ერთ რუსეთში შესაძლებელ მთავრობის აღიარებას, მაგრამ უარყოფს მესამე ინტერნაციონალის პირობებს, მეორე რეზოლიუცია მოითხოვს ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობათა გაერთიანებას ერთ ინტერნაციონალში; მესამე რეზოლიუცია საერთოდ მხარს უჭერს მ. ორგს და მეოთხე მოითხოვს ყველა სოციალისტუ-
ბის გაერთიანებას მესამე ინტერნაციონალში.

შემთანხმებლების კონგრესი.

ქრისტიანია. 20 მარტი. ვენაში ლონგეს თავმჯდომარეობით გაიხსნა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი. გახსნა-რა კონგრესი, ფრიდრიხ ადლერმა განაცხადა, რომ ჭეშმარიტი ინტერნაციონალის შექმნა ერთბაშად შეუძლებელია. მოსკოვის პოლიტიკამ გაართულა ჩვენი ამოცანა. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საერთაშორისო ინტერნაციონალის შესაქმნელათ. ჩვენ უნდა შევქმნათ პლატფორმა თანხმობითი მუშაობისა იმ იდეების გასავრცელებლად, რომლებიც შესძლებენ ყველა ქვეყნების პროლეტარიატის გაერთიანებას. სხდომაზე ინგლისის მუშების პოზიციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის მუშები სავსებით წინააღმდეგნი არიან ინგლისის იმპერიალისტური მისწრაფებებისა. დასასრულ ორატორმა სთქვა, რომ კონგრესის უახლოესი მიზანი უნდა იყვეს ერთი ფრონტის შექმნა და ყველა ძალების გაერთიანება იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის დასამხობად. ამ კონგრესში მონაწილეობას იღებენ მენშევიკები და ესერები, რომელნიც ისტორიის გაკვეთილების მიუხედავათ ძველებურათ იმეორებენ, რომ სოციალური რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოთ იქ სადაც უმაღლესათ განვითარებული მოეწყობილობა.

მუშათა მოძრაობა პოლონეთში.

კოვნა. გაზეთ „რაბოტნიკის" ცნობებით ლოძში, კრაკოვში, ჩენსტოხოვში და სხვა ქალაქებში შესდგა მიტინგები რკ. გზ. და სოფ. მეურნე-მუშათა მიტინგებზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია პოლონეთის მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკის წინააღმდეგ. ცენტრალურმა კომისიამ პროფ. კავშირებს ვადა მისცა პოლონელ მუშათა აქტიურ გამოსვლების დასანიშნავად. ცენტრალური კომისია განსაკუთრებულ მოწოდებით აფრთხილებს, რომ ბრძოლა იქნება დაუნდობელი.

სიკვდილით დასჯა გაფიცვისათვის.

ნაუენი. 20 მარტი. პოლონეთის სამხედრო მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც სიკვდილით დაისჯება გაფიცული.

იტალიის რიგია.

ქრისტიანია, 18 მარტი, (რადიო). ფრანგული კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე", იხილავს რა ინგლის-რუსეთის შეთანხმებას, ამბობს, რომ ამ შეთანხმებას მალე მოჰყვება რუსეთ იტალიის შეთანხმება. სავაჭრო შეთანხმება, გაზეთის აზრით, ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკის ფაქტიურად ცნობას, რაც ნიშნავს ანტანტის პოლიტიკის ახალ დამარცხებას, რომელიც (ანტანტა) დღემდე საფრანგეთის ხელმძღვანელობით ცდილობდა წითელ რუსეთის გაცალკევებას. ბურჟუაზიულ პრესის ხელმძღვანელ წრეების სულიერი გაწყობილება დახშულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება იმ კონფლიქტთა გადაწყვეტის წესრიგის შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება მუშა-მოსამსახურეთა, ერთი მხრივ, და დამქირავებელთა შორის მეორე მხრივ.

1. ყველა კონფლიქტებს, რომელსაც ადგილი ექნება, ერთი მხრივ, დამქირავებელთა, და მეორე მხრივ, ყველა წარმოება — დაწესებულებების მოსამსახურეთა შორის, საბჭოთა [illegible] გამოკლებით, და აგრეთვე სასოფლო და საშინაო მეურნეობაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა შორის, — განიხილავს და გადასწყვეტს შ. ს. კომისარიატის საკონფლიქტო განყოფილება და შრომის ადგილობრივი ქვე განყოფილებანი.

2. ახლად მომხდარ კონფლიქტებს გაარჩევენ პროფესიონალურ კავშირებთან არსებული ადგილობრივი საკონფლიქტო კომისიები, სადაც უნდა მიმართონ ადგილობრივ მომხდარ კონფლიქტების გარჩევის შესახებ სათანადო განცხადებით.

3. პროფესიონალურ კავშირებთან არსებულ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სამი დღის განმავლობაში შრომის ადგილობრივ განყოფილებაში, რომლის გადაწყვეტა საბოლოო [illegible]

ვლება.

4. ყველა განცხადებანი, მომხდარ კონფლიქტების შესახებ საქართველოში საბჭოთა მთავრობის დამყარებამდე, უნდა წარმოდგენილ იყოს არა უგვიანეს ა/წ 20 აპრილისა; ამ ვადაზე უფრო გვიან წარმოდგენილი განცხადებანი არ განიხილება.

5. მომრიგებელ კამერებს წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ ჩააბარონ ყველა საქმეები და აქტივი შრომის ადგილობრივ განყოფილებებს.

6. პროფესიონალური კავშირებთან არსებულ საკონფლიქტო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება და აგრეთვე შრომის ადგილობრივ განყოფილებებთან არსებულ საკონფლიქტო ქვე-განყოფილებათა გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავს საბჭოთა მთავრობის ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოს.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

საქართველოს პროფ. კავშ. საბჭოს მდივანი **გ. ყურულიშვილი.**

სავალდებულო დადგენილება

შრომის ნაყოფიერების და თავისუფალ დროს სარგებლიანათ გამოყენების მიზნით საჭიროა ყველა ცარიელი და თავისუფალი მიწები, როგორც ქალაქის ფარგლებში ისე მის გარე, კერძო პირს ეკუთვნის იგი თუ სახელმწიფოს, ან რაიმე ორგანიზაციას, იქმნას დამუშავებული, გარდა ეზოებისა, რომელნიც შენობის მიერ დაჭერილ ადგილს ხუთჯერ არ აღემატება.

ამ მიზნით მოუწოდებთ ყველა კერძო მესაკუთრეთ დაიმუშაონ თავისი მიწები მიუხედავათ მათი სივრცისა, რაზედაც სათანადო განცხადება უნდა შეიტანონ კომუნალურ განყოფილებაში (ყოფილ ქალაქის გამგეობაში) მიმდინარე 31 მარტამდის.

ამ ვადის შემდეგ ის მიწები, რომელთა პატრონები კომუნალურ განყოფილებაში არ შემოიტანენ სათანადო განცხადებას, ჩამოერთმევათ და უკანასკნელი ამ მიწებს გადასცემს იჯარით კერძო პირებზე მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდის. უპირატესობა მიეცემა არტელებს, ამხანაგობებს და მეზობლად მდებარე სახლების საბინაო კომიტეტებს. თუ ათი დღის განმავლობაში იჯარით გაცემული მიწები დამუშავებული არ იქნება და სეზონური სამუშავარი შესრულებული, მიწები ასეთ მოიჯარადრეთ ჩამოერთმევათ და სხვა პირებს გადაეცემათ.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კომუნალურ განყოფილების საიჯარო ქვე განყოფილებაში.

კომუნალურ განყოფ. კოლეგიის თავმჯდომარე **გ. ვაშაძე.**

კოლეგიის წევრი **ს. დანდუროვი.**

ქრონიკა

ამხ. ორახელაშვილისა და ენუქიძის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდენ ამხ. ორახელაშვილი და ენუქიძე, რომლებიც ქუთაისში იყვნენ წასული საქართველოს ყოფილ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ამხ. ენუქიძე მოსკოვში მიემგზავრება.

◆ **მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ფ. მახარაძე ღებულობს სამსახურის საქმეთა გამო სამშაბათობით და პარასკეობით, დილის 11—12 საათ. კომისარიატის შენობაში. კოლეგიის წევრთ ყოველ დღე, კერძო პირთ დილის 10—11 საათამდე.

◆ **უცხოეთის ქვეშევრდომთა ბინები.** (განცხადება ქალაქის რევკომისა). ტფილისის ქალაქის რევკომი აცხადებს, რომ ყველა იმ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ბინები და ქონება, რომელთა წარმომადგენელნი იმყოფებიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან და მასთან მეგობრულ ურთიერთობაში არიან, არ ექვემდებარებიან რეკვიზიციას და ჩასახლებას.

◆ **საუზმეები მოწაფეთათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ საჭიროთ ჩასთვალა აძლიოს ცხელი საუზმეები დაბალ და საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებს. ამ საქმის მოწყობა დაევალათ პედაგოგიურ საბჭოებს და მშრომელთა წრეებსა. პირველად ყოველ მოწაფეს უნდა აძლიონ ერთი მეოთხედი გირვანქა პური და ტკბილი ჩაი. საუზმეებისთვის სურსათს მისცემენ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საზოგადო კვების განყოფილებიდან.

◆ **სურსათი მუშებისა და მოსამსახურეთათვის.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაურიგოს მუშებსა და მოსამსახურეებს მუშათა მაგიდის საშუალებით შემდეგი სურსათი: 1) შაქარი 1 გირ. სულზე, 2) ბრინჯი 1 გირ. რაციონზე, 3) მარილი 1 გირ. რაციონზე, 4) ჩაი ერთი-მერვედი გირ. რაციონზე, 5) ნავთი 20 გირ. ოჯახზე და თუ ნავთის დარიგების წინ დაიწყება კეროსინის გადმოქაჩვა ნავთსადენით, მაშინ 1 (თითო) ფუთი.

◆ **იუსტიციის სახალხო კომისარი** სთხოვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებათ, მოაწოდონ იუსტიციის კომისარიატს ორ-ორი ცალი ყველა ბრძანებისა, დეკრეტებისა, დადგენილებებისა და ადგილობრივ განკარგულებებისა.

◆ **რძის ფერმები.** სასურსათო სახალხო კომისარიატმა თბილისის უზრუნველყოფისათვის რძის ნაწარმოებით, ნება დართო მომარაგების განყოფილებას გამართოს თბილისის მიდამოებში სარძეო ფერმები. მომარაგების განყოფილება შეუდგა მეწველ საქონლის ყიდვას.

◆ **ზრუნვა სურსათისათვის.** სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა; გაუგზავნოს დეპეშები პროვინციების ყველა რევკომებს თხოვნით გამოუცხადონ მცხოვრებლებს, რომ მათ თავისუფლათ შეუძლიანთ ყოველგვარ სურსათის ჩამოტანა თბილისში. ამავე დროს სურსათის სახალხო კომისარიატი სთხოვს პროვინციის რევკომებს ურჩიონ ხალხს ზედმეტი სურსათი გამოუგზავნონ ქალაქს.

◆ **პური მცხოვრებთათვის.** სურსათის სახალხო კომისარიატმა მისწერა ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტს: მიიღეთ ყველა ზომები, რომ პურის გამოცხობა მატულობდეს იმის მიხედვით, რამდენიც ახალი საბინაო კომიტეტი არსდება, რათა საბინაო კომიტეტის რომელიმე წევრი უპუროთ არ დარჩეს.

◆ **ფინანსთა სახალხო კომისარიატში.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მართველათ დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი დირექტორი ე. ნ. ალშიბაია.

მკითხველის წერილები

პარტიულ ძალთა განწყობილება და სახელმწიფო აპარატი.

ყველაზე წინ ჩვენ, კომუნისტებმა, უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფო,—მუშურ-გლეხური ახალი სახელმწიფო,—უნდა იყოს ძლიერი, ბურჟუაზიისათვის უჩვეულო მაგარი აპარატის მქონე; ხოლო, რომ იგი ასეთი დარჩეს, ამისათვის მიუცილებელი ხდება იმ პარტიული ორგანიზაციების ძლიერებაც, რომლის წიაღში იშვა და რომლითაც საერთოდ საზრდოობს საბჭოთა ძალა-უფლება.

რუსეთელ ამხანაგებისთვის უტყუარი ფაქტია ის, რომ—თუ ისინი გაუმკლავდენ ოთხი წლის განმავლობაში მოზღვავებულ შინაურ და გარეშე მტრებს, ირგვლივ ალყა შემორტყმულებმა, საშინელ ეკონომიურ პირობებში შესძლეს იმათი სრულებით გაცამტვერება, იმიტომ, რომ მათ აღმოაჩნდათ რკინის დისციპლინაში ჩამოსხმული ძლიერი პარტია, მისი ფოლადის მოქნილი პროლეტარული აპარატი, სადაც ასი ათასეული წევრები ამ პარტიისა თავის მთავრობის ყოველ გამოძახილზე მზათ იყვნენ როგორც ერთი კაცი; როცა საჭიროდა სახელმწიფოს—შეუდრეკლათ მიდიოდენ წინ, მტერზე, უკან მოუხედავათ, უსიტყვოთ ემორჩილებოდენ გაცემულ განკარგულებებს; როცა საჭირო იყო—დგებოდენ, უკან იხევდენ, არავითარ პირად აზრებს და შეხედულებებს ვინმე, ასეთ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მოქმედებებში არ აძლევდა ადგილს.

ჩვენ დღეს სამწუხაროთ ასეთი პარტია არა გვყავს. მტრების ბატონობის დროს, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზთა გამო, ჩვენი პარტია დანგრეული იყო სრულებით, მისი ორგანიზაციები აღარ არსებობდა თითქმის. ჩვენ მხედველობიდან ვერ გაუშვებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო აპარატის შექმნა და პარტიის აღდგენაც ერთ და იმავე მძიმე პირობებში გვიხდება, მარა არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ შექმნილი მდგომარეობა [illegible], გვიხდება ყოველივე [illegible] არაჩვეულებრივი დაჭიმვა;—პარტიული ძალთა სწორ განაწილებასთან არის დამოკიდებული ჩვენ მიერ ახლად დაწყებული სახელმწიფო აპარატის შექმნაც.

როგორც ეს პრაქტიკათ არის გამხდარი საბჭოთა რესპუბლიკებში, კ. პ. ც. კ. სახელმწიფოს ყოველ პასუხსაგებ დაწესებულებებში გზავნის თავის რწმუნებულს; თუ აპარატი არ არის,—შესაქმნელათ, თუ არის,—მის გასაწმენდათ არასასურველ ელემენტებისაგან და გასამაგრებლათ; ც. კ. გაგზავნილი კაცი კი რა თქმა უნდა ყოველთვის პარტიული კომუნისტი იქნება, რომელიც თავის საკუთარ საქმეთ ჩასთვლის იმას, რასაც მას აკისრებენ. ამ პრინციპებიდან გამოსული, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებათ, მათ პასუხისმგებელ მმართველთ არ ეძლევა უფლება ჩაერიოს ამ სფეროში... ეს ჩვენ განსაკუთრებით გვმართებს დავიცვათ, რადგან ჯერ ჩვენ არ მოგვეპოება ის განახლებული მუშათა და გლეხთა საბჭო, მისი ნების გამომხატველი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც რესპუბლიკის სრულ უფლებიანი ბატონი ეწოდება.

ხევახტი.

მუშათა ცხოვრება

სტამბების ნაციონალიზაცია.

13 მარტს 1921 წ. მბეჭდავთა პროფკავშირის საზოგადო კრებამ სხვა დადგენილებებთან ერთად, სხვათა შორის, ერთხმად მიიღო აგრეთვე სტამბების ნაციონალიზაცია, რაც კრების აზრით საჩქაროდ უნდა იქმნას ცხოვრებაში გატარებული.

რომ სტამბებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, როგორც საჭეს კულტურისა და საერთოდ კაცობრიობის განვითარება-გათვითცნობიერების საქმეში—ეს ყველასათვის ნათელი იყო და არის.

საბჭოთა მეუფეობის დროს ხომ სტამბებს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

მუშები და გლეხები, როგორც მონები, ან ნახევრად მონები, ბურჟუაზიის მეუფეობის დროს მოკლებულნი იყვნენ საშუალებას ესარგებლათ სტამბის ნაყოფიერებით. მათ მხოლოდ მუშაობის უფლება ჰქონდათ. მათ უნდა ებეჭდათ სახელმძღვანელო წიგნები და მათი შვილები კი წერა-კითხვის უცოდინარობაში ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. ამნაირად სწავლა-განათლება შეძლებულთათვის ერთნაირ მონოპოლიას წარმოადგენდა. ასე იყო მანამ, სანამ ძალა-უფლება მუშები და გლეხები აიღეს ხელში. ეხლა სულ სხვაა. ეხლა ყველაფერი ჩვენ ხელშია და მათ შორის სტამბებიც. სტამბიდან გამოდის ცხოველ აზრი მეცნიერება, ცოცხალი სიტყვა. სტამბამ უნდა აღზარდოს მომავალი თაობა, და ამ მხრივ მბეჭდავთა პროფკავშირის საზოგადო კრების დადგენილება სტამბების ნაციონალიზაციაზე ახლა—ფრიად მნიშვნელოვანია და ის დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს კიდეც ცხოვრებაში. მუშათა და გლეხთა მეუფეობა—ეს უმრავლესობის მეუფეობა და სტამბაც ამ უმრავლესობას უნდა ემსახუროს ერთი ჩამოყალიბებული სისტემით ამ მნიშვნელობით კი სტამბა მსახურებს თუ ის იქნება საბჭოთა მთავრობის სრულ კუთვნილებათ.

თბილისში ორმოცზე მეტი მსხვილი და წვრილი სტამბა ითვლება, სადაც დაბანდებულია 800—900 კაცამდე. ორი მესამედი ამ სტამბებისა წარმოადგენს წვრილ სტამბებს, სადაც მუშაობენ ხშირად არა უმეტეს 2—10 კაცამდის და რა სიძნელეს წარმოადგენენ ეს წვრილი სტამბები, როგორც თვით წარმოებისათვის, აგრეთვე მუშათა შეკავშირების საქმეში, რამდენი ბრძოლა, რამდენი ენერგიაა დახარჯული სტამბის მუშებისა ამ პატარა წურბელა-ხაზეინებთან ბრძოლაში—ეს თვითეულმა სტამბის მუშამ იცის თავისი მწარე გამოცდილებით და გასაკვირველი არ არის, რომ

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

კახეთში.

ველოსიპედით გზა-და-გზა.

(გაგრძელება)

ხელით ავაგორე ველოსიპედი გომბორის აღმართზე. აქ კახეთის გზა ორად იყოფა: ერთი გომბორით მიდის თელავში, მეორე აზამბურით ადის სიღნაღში. ამ ორ ქალაქთა შორის ყვარელით, ლაგოდეხით და წნორის წყალით ეს გზა ისევე ერთდება.

გომბორის თოვლიან შარაზე მოგზაურობა ვერ გავბედე, დავეშვი ქიზიყისაკენ თავდაღმა.

თოვლიან მთებიდან ტრიალ მინდორზე დამბერა ზურგში ცივმა ნიავმა და რამოდენიმე წუთის შემდეგ სოფელ სართიჭალაში, ანუ ნემენცურად, მარიენფელდში ამომაყოფინა თავი.

აქაც იყოფა შარა გზა ორად: ერთი ალერსით, კლაკვნით და გრეხით ემბორება მთებს იორის გაღმა, მეორე შოლტივით ეზნიქება იორს გამოღმა. სოფელ კაკაბეთის რაიონში კი ეს გზებიც ერთდებიან.

რომლით ვეწვეოდი კახეთს, ჯერ არ ვიცოდი. ვიცოდი ერთი: ვიყავ დაღლილი და ძალზე მშიერიც. ამ ორ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გადავწყვიტე მიმემართნა სოფლის რევკომისათვის.

სოფლის რევკომში.

კითხვის კითხვით მივაგენ პატარა ორღობის შესახვევს. აქ ერთ ქოხში შემიღო კარი ამ სოფლის გლეხმა.

— კანცელარია აქ გახლავთ, მობრძანდით შიგნით.

დროებითი რევკომი სოფლის დროებით ერთ პატარა ოთახში უბრალოთ და სადათ მოეთავსებინა. აქ იდგა ტახტი თავისი ხალიჩა—მუთაქებით, იდგა კამოდი თავის ლამპა-სარკით, იდგა ორი საწოლი თავის ლოგინით, გუგუნებდა [illegible] ფეჩი თავის წვრილ ფეხებზე, იდგა მაგიდა და კიდევ მაგიდა, რომლის ირგვლივაც რევკომის წევრები თავჩაღუნული ერთგულად მუშაობდნენ.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ!—ერთხმად მიპასუხეს სალამზე შესვლისთანავე.

— გეტყობათ შორიდან მობრძანებულხართ—წამოდგა ზეზე ახალუხიანი ხანში შესული, როგორც შემდეგ გამოირკვა, რევკომის თავმჯდომარე და თავაზიანად მომაწოდა სკამი — დაბრძანდით.

— გმადლობთ.

— თბილისიდან მობრძანდებით.—შემეკითხა ისევ თავმჯდომარე.

— დიახ, თქვენ გამოიცანით.

— მაშ აბა ცოტა დაისვენეთ და მოგვიყევით ქალაქის ამბავი.

ახალი ამბები დავიწყე მალე. გაზეთებიც რაიონში ჩამოსარიგებლად იმ წამსვე გადავეცი. მიგდებდნენ ყურს დინჯად, მისმენდნენ ნაამბობს გულისყურით.

— ეხლა თქვენ მიამბეთ თქვენი სოფლის ამბავი,—დავათავე მოთხრობა და მოვემზადე მოსასმენად.

— ჩვენ სოფელში გვარდიელები იდგნენ. ამათ დიდი წინაამდეგობა გაუწიეს წითელ ლაშქარს. მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარმა ყუმბარა ესროლა ბრონიროვან ავტომობილიდან, დაიწყო გვარდიამ დამარცხებით. სოფელს ზარალი არ მოსვლია, რადგანაც ბრონევიკს სამივე ყუმბარა სოფლის გარეთ გასკდნენ. ძარცვა გლეჯას, მაროდიორობას და სხვაგვარ ექსცესებს აქ ადგილი არ ჰქონია. რაც დაანგრია ეს და დაგლიჯეს, ისევე მენშევიკის ხალხმა, თუმცა ვერც ამათ მოასწრეს ყველაფრის განადგურება. ყველაზე საგრძნობელი ეხლა ჩვენთვის ის არის, რომ ამოდენა ჯარი სულ ამ სოფელს მოაწვა. ძალები მოდიან ზაქათალიდან და ხომ მოგეხსენებათ, რომ ეს არის ერთად ერთი გზა, საითაც უნდა გაიარონ. სოფელი კი პატარაა, გაჭირვებას ვერ უძლევება. ბინები, სურსათი და „ფურაჟი“ აქ ნაკლებ მოგვეპოვება. გული მიწუხს თავბრუ მესხმის, როდესაც ტრანსპორტის საქმეს ვერ დავაკმაყოფილებ წითელ ლაშქრისათვის. აი, ჩვენი მდგომარეობა სწორედ ასეთი გახლავთ დაამთავრა რევკომის თავმჯდომარემ.

ამ ლაპარაკს სხვებიც უსმენდენ. რევკომი თანდათან ივსებოდა გლეხებით ზოგი საქმეს მოეყვანა და ზოგიც უბრალო ცნობის მოყვარეობას. ოთახში სხვადასხვა საჭირო საქმისთვის საბჭოთა ჯარის კაცებიც წამ-და-უწუმ აღებდენ კარებს.

საქმე გავათავე. ველოსიპედის მაფრაშა შევკარ-შემოუჭირე და ის იყო გამოსვლას ვაპირებდი, როდესაც ერთმა ჩემმა ნაცნობმა გლეხმა, თედომ, რომელიც აქამდის კარებში უსიტყვოდ ატუზული ჩემ მოძრაობას შუბლის ქვეშიდან თვალ-ყურს ადევნებდა, გადმოდგა ჩემსკენ მძიმე ნაბიჯი და საიდუმლოდ ჩამჩურჩულა.

—ილიკო, სად მოხვალ? წამო ჩემთან, პური გეშიება, ვახშამსაც გაჭმევ და ერთი ყაიდაშიაც მოგაძინებ.

— შეგაწუხებ თედო, თორემ დიდი სიამოვნებით—იმერულად გაუღიმე თვალებში.

— როგორ თუ შემაწუხებ? „ძმა ძმისთვინაო, შავ დღისთვინაო“. ესე არ არის. შენ წამო ჩემთან.

წითელ ლაშქრელებთან.

თედომ წამოიგდო ველოსიპედი ზურგზე. აიღია ჩოხის კალთები და ლაფიან გზაზე გასწია შინისაკენ. ეზოში მას მეუღლემ მოჰკრა თვალი და იმ წამსვე გამოეშურა ქმრის მისაგებებლად. ქმარი ღიმილით შეხვდა, ჩაუკრა თვალი, წეხემსა და ჩემკენ მოატრიალა.

— ეს ჩვენი მოხეტიალე მუსიკოსი გახლავს, ხომ გაგიგია ამის დაკვრა „ლოთ მატარებელში“?

— როგორ არა, მე მაგას ვიცნობ.

— ხო და აი, ჩამოართვი ხელი, გასწი.

— დიდი სიამოვნებით...მობრძანდით-სახლში, აქ რას უდგიხართ?

— როგორ? სიამოვნებითო?... აჰა, დედაკაცო, ვერ უყურებ შენ ამას?! წაეხმარა თედო თავის დედაკაცს და ისევ ჩაუკრა თვალი.

— აი, კატო! ესე ვცხოვრობთ,- მართალია ღარიბულად, მაგრამ ადამიანურად—წაჰკრა წიხლი ოთახის კარებს—შემოდი აქ, შემოდი სახლში... გამხიარულდი ჰერო, ძვირფასი სტუმარი მომყავს! რა ჰქვიან ამას? ელისაპედი? როგორ მივაყუდო, აბა მოდი აქ?

— მაგიდასთან, მაგიდა მიუდგი.

— ე გამჩენ ძაღლი, არც თივა უნდა, არც ბზე და არც ქერი. რას აჭმევ ამას ილიკო!

— დღეში ორმოცდაათ ვერსს, თუ მუშაობს...

— და თუ არა?—შემაწყვეტინა სიცილით.

— ჩემსავით მშიერია.

— ჰო, შენ მშიერი ხარ! ვიცი, ვიცი!.. შენ აქ ჩამოჯექ, თბილად ჩემთან! მე ემსაათში მოვალ, პატარა მოგიმზადებ რამეს.

ვერც კი მოვასწარ ოთახის დათვალიერება, როდესაც თედომ ისევე შემოაღო კარები, მოიდგა სკამი ახლოს და ჩემ გვერძე ჩამოსკუპდა.

— ისე არა დროის გამხარებია შენი ნახვა, როგორც დღეს.

— როგორ თედო?

— როგორ და ისე! შენ არ იცი რაშია საქმე... აქ შენს გარდა კიდევ ოთხი სტუმარი სხვა მყავს.

— ვინ არიან?

— წითელი ლაშქრელები. სულ აფიცრები არიან. რევკომმა ჩემთან დააბინავა დღეს, გუშინ კიდევ სხვა გავისტუმრე. მოდიან ახალ-ახალი სტუმრები, ყველგან ესეა, ყველას სახლები სავსეა საბჭოთა ჯარით. ჩვენც ვინახავთ, გულუხვად ვხვდებით თუმცა ერთთან უკვე ჩხუბი მომივიდა ამდილას; შენ უნდა შემარიგო.

— რაშია საქმე?

— რაშია და იმაშია, რომ—მოიწია ახლოს და სერიოზული სიმწუხარით შემომჩივლა ერთმა მათგანმა მომთხოვა კვერცხი. არა მქონდა, რა უნდა მიმეტანა? უარი უთხარი. გინდა, თუ არა უნდა მიშოვნოო, გამომიწოდა ფული. იყიდე სადმე და რამდენსაც დაგიფასებენ მიეციო.

მე შევთაკილე, მეზობლებისა შემრცხვა. რას იტყოდნენ? ამდენი ქათამი სახლში კვერცხს არა სდებსო?!

— მერე? შევაწყვეტინე თედოს.

— მერე ისა, რომ კვერცხის ყიდვაზედაც უარი უთხარი. წადი და შენ იყიდე მეთქი.

— მე აქ არავის ვიცნობო.

— მე კიდევ ყველანი მიცნობენ მეთქი.

ესე შევყევით, შევყევით და კარგი ლაპარაკი მოგვივიდა. მას შემდეგ სულ შუბლ შეკრული დადის, ზედ აღარ მიყურებს!..

თედო მართალი იყო, სწორედ ეგეთი ზნე—ჩვეულებაა ჩვენს ხალხში გამჯდარი. აფიცერი უფრო მართალი იყო. მან რა იცოდა ჩვენი მამაპაპების დამკვიდრებული ტრადიციები? იგი მსჯელობდა სადი ლოღიკით.

თედო მაინც გავამხნევე და [illegible]

სტამბის მუშებმა პირველ თავის კრებაზედვე სტამბების ნაციონალიზაცია მოითხოვეს.

აქაც, როგორც ყველაფერში, ჩვენ მუშებმა უნდა გამოვიჩინოთ ფხა, უნარი, თვითმოქმედება. ხაზეინები გველებივით სისინებენ, ვითომ ჩვენ ვერ შევძლებთ საქმის გაძღოლას. ხაზეინებმა ახლავე, თვითონვე გამოგვიცხადეს ომი და მუშები გამოაგდეს გარეთ, მოიმიზეზეს რა რომ მათ საქმეები არა აქვთ, ე. ი. ისინი დღეს აღარ იგებენ იმდენს, რამდენიც მათ მუცელს ეპრიანება. მუშები ქმნიდენ მათთვის და მათი შვილებისათვის სიმდიდრეს და მათ კი ერთი თვე ვერ წაიყვანეს იოლათ მუშები; ამით ისინი საბოტაჟს გვიწევენ და მით უარესი მათთვის.

მხოლოდ მუშებმა უნდა მიიღონ ზომები, თავიანთი ორგანიზაციების დახმარებით, კავშირის გამგეობის და პოლიგრაფიული განყოფილების შემწეობით სტამბების ნაციონალიზაციის ცხოვრებაში საჩქაროთ გატარებისათვის. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ დეკრეტის გამოცემა. საჭიროა მუშების რევოლიუციონური ნებისყოფა.

ხაზეინებს უნდა დაუმტკიცოთ, რომ მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით გაატარებს მათ იდეებს და ბოლოს მოუღებს ხაზეინების მუქთაჭამიობას და მუშის ოფლით ნებიერ ცხოვრებას.

სტამბების ნაციონალიზაცია დაუყონებლივ უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

სანდრო იაშვილი.

— —

დაბალ (ტყავზე მომუშავეთა) მუშათა კავშირის კრებაზე მიღებული რეზოლიუცია.

დაბალთა საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. მჟავანაძისა მიმდინარე მომენტისა და პროფ. კავშირის როლისა და მიზნების შესახებ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში, მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა მთავრობას საქართველოში და პირობას სდებს ყოველივე ზომა მიიღოს იმ მუშათა მთავრობის დასაცავად, რომელსაც დიდხანია მოელოდნენ და რომლის საქმესაც არა ერთი და ორი საუკეთესო მომუშავენი შეუწირავს. ჩვენ, როგორც ერთი კაცი, შევკავშირდებით ჩვენს ორგანოს გარშემო და ვაწარმოებთ სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

— —

ცენტროტრანსპორტის მუშათა კრებაზე მიღებული რეზოლიუცია:

საზოგადო კრებამ ავტოტრანსპორტის მუშებისა მოისმინა რა მოხსენება ამხ. მჟავანაძისა საბჭოთა ხელისუფლების დროს პროფ. კავშირების აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ, კრება პროფკავშირი მიაჩნია შრომის საუკეთესო ორგანიზატორად და წარმოების რეგულიატორად; პირობასა სდებს მთელი ძალღონე მოახმაროს კავშირის სასწრაფო კონსტრუქციას. კრება მხურვალე სალამს უძღვნის მუშათა და გლეხთა მთავრობას საქართველოში და ფიცსა სდებს, ყოველი ზომა მიიღოს მის დასაცავად. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

პროვინციის ცხოვრებიდან

12 მარტს, თებერვლის რევოლიუციის მეოთხე წლის თავზე, **მანგლისის** კომპარტიის ორგანიზაციის მეთაურობით გაიმართა მიტინგი, რომელზედაც მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთეს ამხ. რუზენმა და ამხ. იკონომიდმა რუსულ ენაზე და ამხ. ციმბირელმა ქართულ ენაზე. მიტინგის დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მანგლისის რაიონის მცხოვრებნი უძღვნიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას მხურვალე სალამს. აგრეთვე ესალმებიან საქართველოს კომუნისტურ პარტიას და სახალხო ლაშქარს, სახით მთელ რევოლიუციონურ მუშა გლეხკაცობას საბჭოთა რუსეთისას, განმათავისუფლებელს ყველა დაჩაგრულ ერებისას.

მანგლისის რაიონის მცხოვრებნი ფიცსა სდებენ სასტიკი ბრძოლა აწარმოონ ყველა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც კი შეეცდება გამოსტაცოს მუშებსა და გლეხებს წითელი დროშა.

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას! გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს და მის დიდ სარდალს ამხანაგ ლენინს.

მანგლისის კომპარტ. ორგანიზაცია.

— —

ხოფ. პრიუტის პარტიულ ამხანაგთა კრებაზე, რომელიც შესდგა მანგლისის კომპარტიის წევრის ამხ. იკონომიდის და მანგლისის რევკომის პრეზიდიუმზე მიწერილ პასუხისმგებელ ორგანიზატორ ამხ. ციმბირელის თავმჯდომარეობით მოიწყო ს. პრიუტის რევკომი და პოდკომპარტია.

ამავე სოფელში ამავე დღეს გაიმართა მიტინგი, რომელზედაც მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. იკონომიდიმ. მიტინგის დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ს. პრიუტის გაძკალტყაევბული გლეხობა სალამს უძღვნის საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას და საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს კომუნისტურ მესამე ინტერნაციონალს!

მანგლ. კომპ. ორგანიზაცია.

— —

თანახმად მანგლისის რევკომის მოწერილობისა, თხოვნა ახალქალაქის დელეგაციის, რომელიც გვაცნობებდა მოსაზღვრე მენშევიკურ რაზმების და მილიციის შევიწროება დაძარცვა-გლეჯის შესახებ, შეწყნარებულ იქნა და მანგლისიდან გაიგზავნა ადგილობრივ წითელ ლაშქრის რაზმი ამხ. სახაცკის მეთაურობით. მას შეუერთდა წალკის რაზმიც ყაჩაღობის ასალაგმად და რაიონში საბჭოთა უფლების განსამტკიცებლად. გზა და გზა იქმნა მოხსნილი ოთხი მოსაზღვრე სადარაჯო და ტყვედ წამოყვანილი 200 კაცამდე 7 ოფიცრით. ყველანი თფილისში გამოიგზავნა. ახალქალაქში ჩასვლისას გაიმართა მიტინგი, რის შემდეგ დაარსებულ იქნა რევკომი. მენშევიკების ჯარებმა ახალციხისაკენ დაიხიეს. მათ ფეხდაფეხ დაადევნეს სააგიტაციო ფურცლები მოწოდებით საბჭოთა მთავრობისაკენ გადმოსვლისა და მენშევიკურ უფლების უვარგისობის შესახებ. ახალქალაქის გარნიზონის სახელზე გამოიცა ბრძანება ხალხის იარაღის აყრის და წესიერების დამყარების შესახებ. დავალებულ საქმის შესრულების შემდეგ რაზმი დაბრუნდა მანგლისს ახალქალაქიდან 14 მარტს. ახალქალაქის დაკავების და საბჭოთა. უფლების განმტკიცების საქმეში ხელს უწყობდა ამხ. სუკიასოვი, რომელიც დანიშნულ იქმნა გარნიზონის უფროსად, ვიდრე რეგულიარული წითელი ნაწილები და მთავრობის ცენტრის დანიშნული პირნი ჩამოვლენ.

მანგლ. კომპ. ორგანიზაცია.

სარედაქციო კოლეგია

ბოდიშის მოხდით და საბაბის ახსნით განუმარტა ამხანაგისათვის გაუგებრობა.

— მეც ეგრე ვფიქრობ, მაგრამ ეს ოხერი, რუსული რომ არ ვიცი?! იქნებ დემეხმარო?

— რატომაც არა?

— ხო და აი, სწორედ ამიტომ გემეხარდა შენი აქ ჩამოსვლა.

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ მე და თედომ ძველ და ახალზე, კიდევ ბევრი შევჩივლეთ ერთმანეთს ნანახ გაგონილი მენშევიკების უგუნურობაზე, ვიდრე ჩვენ მასლაათს არ დაარღვევდნენ შემოსწრებული სტუმრები.

ოფიცრები შემოვიდნენ გაჯავრებულები,—ეჩქარებოდათ თბილისში წასვლა და ბეგარა კი არსად იყო, ურმები კი ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ.

დანჯღრეული რუსული ენით სტუმრებს გაეცნო თედომ, როგორც შეეძლო აუხსნა მათ ჩემი ვინაობა და სპეციალისტობა.

— **А.. а... а! значитъ онъ музыкантъ?**—მიუხვდა მხედარი.

— **Значитъ, значитъ!**—თავის დაკვრით გაუმეორა თედომ.

სტუმრებს გაეცინათ, გეხარდათ. ერთი მიუახლოვდა კიდეც ველოსიპედთან ვიოლინოს და ნოტარების ღიმილით დაუწყო მას შინჯვა. მეც დავპირდი ისე არ წავსულიყავ, რომ არ დამეკრა.

დღითი ლაშქრელებს სრულებით არ ეცალათ. ზოგი თივას ღებულობდა, ზოგი ცხენს აჭმევდა, ზოგი ბეგარას დაეძებდა, ზოგი სურსათს ანაწილებდა და ზოგიც რას.

საღამოთი კი ყველამ მოიცალა და სავახშმოდ მასპინძელთან ერთად მაგიდასთან მოიკალათა.

შევედით ვახშამში. დავიწყეთ მყუდრო მასლაათი.

— გურჯანში კარგი იყო—დაიწყო ერთმა—ხილიცა და ხორციც ბევრი დაგვხვდა.

— რა უყოთ მერე?—გაეპასუხა ამხანაგი—ზოგგან ასეა, ზოგან ისე. მაგრამ შენ ჯერ გამოუცდელი ბალღი ხარ. აი, როცა ჩემსავით გამოცდები და ომში სამ წელიწადს გაატარებ, შენც სხვანაირად იმსჯელებ.

— მერე, არ გეცოდებათ, რომ ამდენ ხალხსა ჰხოცავთ?—გამოსაცდელად შევეკითხე უცბათ.

— ვხოცავთ?!, ჩვენ კი არა, ისინი გვხოცავენ. ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა მიზეზებით და ფულით ბურჟუები თავიანთ შვილებ-ნათესავებს სალდათობიდან ანთავისუფლებენ. მაშასადამე ჯარში რჩებიან ისევე ხალხი, ხალხი და ხალხი, მშრომელი ხალხი. აბა ჩვენ ამათ ვესვრით თოფს, ამათ დავხოცავთ? ჩვენ ვისვრით ჰაერში, ვისვრით წინ, უკან, გვერდით, რომ შევაშინოთ, რომ დავაფრთხოთ. მართალია შემთხვევით ტყვია ხვდება, ხალხი იხოცება, მაგრამ ამაში ხომ დანაშაულობა ჩვენ არ მიგვიძღვის? თოფები და ზარბაზნები ჩვენ იმიტომ გვკიდია, რომ დავიცვათ წესიერება, რომ აღვადგინოდ სამართალი, ძმობა, ერთობა და სიყვარული დავამყაროთ ქვეყანაზე. ჩვენ მივდივართ მიამიტად, მხნედ და გაბედვით, ისინი კი გვხვდებიან მალვით, ეშმაკურად, მტრულად და ტყვია-ხიშტით. ჩვენ რომ ეგე არ ვიქცეოდეთ, იცით რამდენ ხალხს ამოვჟლეტდით? იცით საქართველოს როგორ გავანადგურებდით? მაგრამ აკი გითხარით, ეს ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს, ეს ჩვენ მცნებას არ ანხორციელებს.

— ხო, ეგრეა, ეგრეა ილიკო! მე აქ ვიყავი და ჩემი თვალით ვუყურებდი ბრძოლის ველს. ესენი არ იმეტებდნენ, ეგენი გულდაგულ თამამად მოდიოდნენ, ჩვენები კი არ ინდობდნენ. რაც მართალია, მართალია! კაცმა უნდა სიმართლე აღიაროს. ამათ რომ თავიდან ხელი აიღონ, იცი დღეს რა ამბავში ჩავცვივდებოდით? სულ მთლად მიწასთან გაგვასწორებდნენ, გაგვანადგურებდნენ, მაგრამ აი, ხომ ხედავ, სოფელს ერთი კვერცხიც არ უზარალნია ამათ მხრიდან. მაშ კაცო, შენ არ იცი რა დღეში ვიქნებოდით,—ჩაერია ლაპარაკში თედო.

ჩემზე ოფიცრებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს. ესენი იყვნენ ნამდვილი კომუნისტები, იყვნენ სუფთა იდეალისტები, მებრძოლნი და თავგანწირულნი. არც ერთ მათგანს ბიუროკრატიზმი არ ემჩნეოდა, არ იყვნენ ტიპები ყაზბეგის მოთხრობისა, არ იყვნენ მხედრები ნიკოლოზ იმპერატორისა. ესენი იყვნენ ბრძოლის მხატვრები, მუსიკოსები და მგოსნები. გაქცეულთ უძახოდნენ, გაჭირვებულთ ანუგეშებდნენ, წაქცეულს აყენებდნენ.

ვახშამი გავათავეთ. მასპინძელმა ქვეშაგები ყველას ერთ ოთახში გაგვიშალა, თითონაც თავის დედაკაცით აქვე კუნჭულში მოეწყო.

ღამე მესმოდა მხედართა ბოდვა. ეტყობოდათ სიზმარში ომის კოშმარებს თვალით უმზერდენ.

დილა მშვენიერი გათენდა. მზემ უხვად გადმოშალა თავისი გულ-მკერდი და მილიონ სხივებით მოფინა სართიჭალის არე მარე.

წამოვდექით დავლიეთ ჩაი, კიდევ ცოტა ვიბაასეთ და შევუდექით საქმეს.

თედომ მირჩია იორის გამოღმა გზით გამეგრძო ჩემი მოგზაურობა.

— თორემ ტალახია, საგარეჯოსკენ ტალახია ილიკო.

გამომშვიდობებისას ორიოდე მუჭა ქიშმიშიც გამატანეს წითელ ლაშქრელებმა,—თორემ შაქარს ვერ იშოვნი და უჩაიოთ დარჩებიო.

ილიკო ქურხული.

(გაგრძელება იქნება)

პროფესიონალურ კავშირებთან არსებულ კულტურულ განყოფილებების კონფერენცია

კვირას, 27 მარტს 1921 წ. დილის 10 ს. კინემატოგრაფ „ჯანრონის“ დარბაზში (მუშათა სასახლე, ბარიათინის ქ.) მოხდება კონფერენცია ქალ. თფილისის პროფესიონალური კავშირების ყველა კულტურულ განმანათლებელი კომისიებისა. სავალდებულოა დასწრება ყველა კომისიების წევრებისა სრული შემადგენლობით და აგრეთვე მუშათა კლუბის დროებითი ბიუროსი. წევრებმა გამოცხადების დროს უნდა იქონიონ თან მანდატები. კრება, როგორც მეორედ შემდგარი, ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავათ გამოცხადებულთა რიცხვისა.

დღის წესრიგი:

1. კულტურულ განყოფილების მოხსენება კულტ.-განმან. კომისიების მიზნებზე.
2. კულტურულ განყოფილებების კონსტრუქცია.
3. კულტურულ-განმანათლებელი კომისიების ინსტრუქცია.

სახელმწიფო უნივერ. სტ. კომუნისტებს და თანამგრძნობთა საყურადღებოთ

რეგისტრაცია დაიწყო და გაგრძელდება 1921 წ. 28 მარტამდის. საღამოს 3—5 ს. სტუდენტთა სასადილოში (გამგეობის ოთახში). ვთხოვ ყველა ამხანაგებს, როგორც კომუნისტებს ისე თანამგრძნობთ აუცილებლად ჩაეწერონ.

რეგისტრაციის აწარმოებენ: **ამხ. ვარდოსანიძე და შუბლაძე.**

18 მარტის დღესასწაულის მომწყობი კომისია

სთხოვს იმ სასწავლებლებს, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ დაესწრენ 18 მარტის გასართობებს, ან ვერ მიიღეს საუზმე, განაცხადონ ამის შესახებ და წარმოადგინონ ცნობა ბავშვების რიცხვის შესახებ ს. კ. პ. თფილისის კომიტეტის სააგიტაციო განყოფილებაში არა უგვიანეს 25 მარტისა, პლეხანოვის პრ. № 96, ტელეფონი 5—69; მათთვის მოწყობილი იქნება მეორეჯერ საბავშვო დილა.

დღესასწაულის მომწყობი საორგანიზაციო კომისია.

საპერერეგისტრაციო კომისიისაგან.

პარტიის წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ ცხადდება, რომ პერერეგისტრაცია დაიწყება ა/წ. 20 მარტიდან. პარტიის წევრებს ევალებათ წარმოადგინონ თავიანთ სარაიონო კომიტეტებში:

1. განცხადება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ, ორის თავდებით, რომელნიც პარტიაში ირიცხებოდნენ ოქტომბრის გადატრიალებამდე.
2. საწევრო ბილეთი, ან საკანდიდატო ბარათი.
3. უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ბარათი.

შენიშვნა: 1) ს. კ. პ. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ სარეგისტრაციო ბარათებს.

შენიშვნა 2) პარტიის წევრთა განცხადებების მიღება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ თავდება 25 მარტს.

ცენტრალური საპერერეგისტრაციო კომისია.

საქ. კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციების და წევრების საყურადღებოთ

ს. კ. პ. ც. კ. აუწყებს პარტიის ყველა წევრებს, რომ ამა წლის 20 მარტიდან ს. კ. პ. ყველა ორგანიზაციები დაშლილად ითვლებიან და იწყება პარტიის წევრების და კანდიდატების რეგისტრაცია. პარტიის პერერეგისტრაციის მიზანია—პარტიის ძალთა სწორი აღრიცხვა, განაწილება და გამოყენება, ამავე დროს გაწმენდა პარტიისა ყველა კარიერისტულ და არა კეთილსაიმედო ელემენტებისაგან. პერერეგისტრაციის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ცეკასთან დაარსებულ სპეციალურ კომისიას. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ ანკეტას და შეტანილ იქნებიან წევრთა ახალ სიებში. ყველას, ვისაც მოეპოვება ამა თუ იმ კომუნისტის გამაბახებელი ფაქტები, ცეკა წინადადებას აძლევს ყოველივე ასეთი აცნობონ საპერერეგისტრაციო კომისიას. პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან აღირიცხონ იმ ორგანიზაციაში, სადაც მუდმივად მუშაობენ. ვინც დროებით სხვაგან გაგზავნილია, უფლება აქვს აღირიცხოს დაბრუნებისას, პერერეგისტრაციის დროს პარტიის წევრთა მიღება შეწყვეტილია.

მდივანი **ლ. დუმბაძე.**

თფილისის მასწავლებელთა საერთო კრება

დანიშნულია მასწავლებელთა სახლში (ყოფილი ქართული კლუბი) ხუთშაბათს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე. კრებაზე შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება იქვე 12 საათიდან. დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) პროფ.-კავშირთა მიზნები და მათი ორგანიზაცია, 3) გამგეობის დამატებითი არჩევნები.

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ“-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

გაზ. „კომუნისტი“-ს

მიღება შეიძლება გრუსტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).

ტირაჟი—9000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრონშტადტის ქ. № 4

ნ.-დ. ს.